

**PHONETIC CHANGES OF VOWEL COMPLEXES AT THE MORPHEME
BOUNDARY IN THE SPEECH OF PRONE VALLEY**

**მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური ცვლილებები
ფრონის ხეობის მეტყველებაში**

Mariam Koberidze

Doctor of Philology,

Professor of Gori State University,

Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,

+ 995577251275, maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

Abstract. The presented scientific article discusses the tendency, cases of realization and frequency of phonetic changes of vowel complexes at the morpheme boundary in the speech of Prone Valley. The research is based on dialect texts recorded and published at various times. The speech of the Prone Valley represents a transitional zone between Central Kartli and Western Kartli. In this valley, cases of mixing of speech codes of Imeretian, Meskhetian-Javakhian, Racha and Gurian dialects with the Georgian dialect are confirmed.

The change of vowel complexes was confirmed predominantly in the initial and final positions of the word. It is noteworthy that three markers of assimilation and dissimilation are revealed: local Local queue (place of articulation), openness (raising), and labiality.

The preverbal vowel changes in complexes as a result of regressive, contact, and complete assimilation. **ae** → **ee**: eets'ia (aets'ia "go up"), deejakha (← daejaxa "Crashed"), geekharda (← gaekharda "Rejoiced"), gadeekhvia (← gadaekhvia "Hugged"), ts'eekkh'uba (← ts'aekkhuba "Fought"), cheesva (← chaesva "Put")... **oe** → **ee**: meeshveleba (← moeshveleba "It helps") meets'ona (← moets'ona "to like"), meeq'vana (← moeq'vana "to take"). **aa** → **ae**: gadavighot (← gadavighot "Let's take"). Complex changes occur not only between neighboring vowels, but also between elements separated by a consonant, especially when a compound preverb is attached to a verb. Both vowel elements of a compound preverb undergo changes: gemeerchia (← gamoerchia "Chosen"), ts'emeeq'vana (← ts'amoeq'vana "to be taken away")... oa → aa: maakhsenebs (← moakhsenebs "Will report").

The vowel of the preverb changes as a result of contact, regressive, complete dissimilation. **ee** → **ae**: shaepereboda (← sheepereboda "It would be suitable").

The study showed that the main trends of phonetic changes in vowel complexes at the morpheme boundary in the speech of the Prone Valley are common to Georgian, although certain modifications are also confirmed, which are determined by the internal laws of the Kartli dialect, population migration, and the mixing of speech codes.

Keywords: Kartli dialect, Prone Valley speech, vowel complexes, morpheme, phonetic change.

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,

+ 995577251275, maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი. წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში განხილულია ფრონის ხეობის მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური ცვლილებების ტენდენცია, რეალიზაციის შემთხვევები და სიხშირე. კვლევა ემყარება სხვადასხვა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებს. ფრონის ხეობის მეტყველება გარდამავალ ზონას წარმოადგენს შიდაქართლურსა და დასავლურ ქართლურს შორის. ამ ხეობაში დასტურდება ქართლურთან იმერულის, მესხურ-ჯავახურის, რაჭულისა და გურულის სამეტყველო კოდთა შერევის შემთხვევები.

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილება უპირატესად დადასტურდა სიტყვის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში. საყურადღებოა, ასიმილაციისა და დისიმილაციის გამოვლენის სამი მარკერი: ლოკალური რიგი (საწარმოთქმო ადგილი), ღიაობა (აწეულობა) და ლაბიალურობა.

ზმნისწინისეული ხმოვანი იცვლება კომპლექსებში რეგრესული, კონტაქტური, სრული ასიმილაციის შედეგად. აე→ეე: ეეწია (←აეწია), დეეჯახა (←დაეჯახა), გეეხარდა (←გაეხარდა), გადეეხვია (←გადაეხვია), წეეჩხუბა (←წაეჩხუბა), ჩეესვა (←ჩაესვა). ოე→ეე: მეეშველება (←მოეშველება), მეეწონა (←მოეწონა), მეეყვანა (←მოეყვანა). ოა →აა: მაახსენებს (←მოახსენებს). კომპლექსთა ცვლილება ხდება არა მარტო მეზობლად მყოფ ხმოვნებს შორის, არამედ დისტანციურად, თანხმოვნით დაშორებულ ელემენტებს შორისაც, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ზმნას რთული ზმნისწინი დაერთვის. ცვლილებას განიცდის რთული ზმნისწინის ორივე ხმოვნითი ელემენტი: გემეერჩია (←გამოერჩია), წემეეყვანა (←წამოეყვანა).

ზმნისწინისეული ხმოვანი იცვლება კონტაქტური, რეგრესული, სრული დისიმილაციის შედეგად. ეე →აე: შეეფერებოდა (←შეეფერებოდა). აა →აე: გადაევილოთ (←გადავილოთ).

კვლევამ აჩვენა, რომ ფრონის ხეობის მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებების ძირითადი ტენდენციები საერთო ქართულია, თუმცა დასტურდება გარკვეული მოდიფიკაციებიც, რომელიც განპირობებულია ქართლური დიალექტის შინაგანი კანონებით, მოსახლეობის მიგრაციითა და სამეტყველო კოდთა შერევით.

საკვანძო სიტყვები: ქართლური დიალექტი, ფრონის ხეობის მეტყველება, ხმოვანთკომპლექსები, მორფემა, ფონეტიკური ცვლილება.

შესავალი. ქართული ქვესისტემების მიხედვით მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებები ზედმიწევნით არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთი და იმავე პრინციპის მიხედვით ერთი და იმავე ხმოვანთკომპლექსის ცვლილება დიალექტებში შესაძლებელია იმყოფდეს განსხვავებულ ფონეტიკურ ნაირსახეობებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმოადგენდეს ერთი და იმავე ტენდენციის გამოვლინებას. ფონეტიკურ ცვლილებებზე გავლენას ახდენს ხმოვნების ფიზოლოგიური მახასიათებლები და ურთიერთობა მანძილის მიხედვით.

ქართულში მორფმათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებების ძირითადი ტენდენციები საერთო ქართულია, თუმცა დასტურდება გარკვეული მოდიფიკაციები კილოკავებისა და ხეობების მიხედვით, რომელიც განპირობებულია დიალექტის შინაგანი კანონებით, მოსახლეობის მიგრაციითა და სამეტყველო კოდთა შერევით. ფრონის ხეობის მეტყველება გარდამავალ ზონას წარმოადგენს შიდაქართულსა და დასავლურ ქართულს შორის. დვანისწყლისა და ფცისწყლის სოფლების მეტყველება მიეკუთვნება შიდაქართულს, ხოლო ალისწყლისა და სურამისწყლის სოფლების მეტყველება დასავლურ ქართულს. ამ ხეობაში დასტურდება ქართულთან იმერულის, მესხურ-ჯავახურის, რაჭულისა და გურულის სამეტყველო კოდთა შერევის შემთხვევები.

წარმოდგენილ სტატიაში ქრონოლოგიურად თანამედროვეობასთან მიმართებაში გაანალიზებულია ფრონის ხეობის მეტყველებაში მორფმათა ზღვარზე, ხმოვანთკომპლექსთა ყველა შესაძლებელი ფონეტიკური გარდაქმნები, მათი რეალიზაციის შემთხვევები და სიხშირე. კვლევა ემყარება სხვადასხვა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებს (მარტიროსოვი, 1939; გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961; იმნაიშვილი, 1974 ბ; ღლონტი, 1980; კობერიძე, 2015; კობერიძე, 2024).

მეთოდი. საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია დაკვირვება, ემპირიული მასალის ანალიზი, კონტექსტის ანალიზი, ანკეტური გამოკითხვა, აღწერისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. ხმოვანთა ორშემადგენლიანი კომპლექსების ფონეტიკურ ცვლილებათა კანონზომიერებანი ქართული ენის დიალექტებში გაანალიზებულია შედეგის მიხედვით - დასახელებულია სამი რიგის კომპლექსი და განსაზღვრულია თითოეული ხმოვნისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებების ტენდენცია: 1. ფართო + ვიწრო (დაბალი ან საშუალო აწეულობის + მაღალი აწეულობის) ხმოვნებით შედგენილი კომპლექსი ამჟღავნებს მიდრეკილებას რეგრესიული ასიმილაციისაკენ: აე→ეე, აი→იი, აუ→უუ; 2. ვიწრო + ფართო ხმოვნებით შედგენილ კომპლექსებში დაჩნდება: ეა→ია, ოა→უა (შორს წასული პროცესის დროს დიფთონგიზაციის ტენდენცია); 3. თანაბარი ღიაობის (აწეულობის ხმოვნები) სხვადასხვა შედეგს იძლევიან. ოე კომპლექსი დასავლურ დიალექტებში იცვლება რეგრესიული ასიმილაციით (ანალოგიურად პირველი სახეობის კომპლექსებისა): გამოევიდა→გამეევიდა; აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში დაჩნდება დისიმილაცია: გამოევიდა→გამუევიდა. ამავე ჯგუფში შემოდის იდენტური ხმოვნებით შედგენილი კომპლექსებიც (პირველადი და მეორადი). იდენტურ ხმოვანთა შერწყმის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვნები ისწრაფვიან გადაიქცნენ მარტივ ხმოვნად (მიძიგური, 1946: 19).

ამას შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი სახეობა (დადასტურებული აჭარულ დიალექტში): იმ შემთხვევაში, როცა აი→ეი გათიშულია ვ თანხმოვნით, ი ხმოვანი იკარგვის: წავილე → წევილე → წევლე. არსებითად ესაა ეი →ეე ცვლილების სახეობა, სადაც ნაწილობრივი რედუქციის (ი → ე) ნაცვლად დაჩნდება სრული რედუქცია (ჯორბენაძე, 1998: 97-100).

ქართულ ენაში სიტყვათა ძირითადი ნაწილი იქმნება მორფმათა (ფუძისა და აფიქსების) შეერთებით. შესაბამისად, მორფმათა ზღვარზე წარმოიქმნება ახალი ბგერათმომდევრობები, რომელთა ნაწილი შეიძლება საერთოდ არ დასტურდება ერთი მორფმის ფარგლებში/რამდენადაც ასეთი ბგერათმომდევრობა არაბუნებრივია ქართულისათვის;/ ასეთ შემთხვევაში ენა ცდილობს მეტყველების პროცესში

ახალწარმოქმნილი არაბუნებრივი ბგერათმომდევრობა დაამსგავსოს ბუნებრივ ბგერათკომპლექსს (ფუტკარაძე, & მიქაუტაძე, 2014: 84).

ფრონის ხეობის მეტყველებაში ხმოვანთკომპლექსთა ცვლილება უპირატესად გამოვლინდება სიტყვის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში.

თავკიდური პოზიცია:

ზმნისწინისეული ხმოვანი იცვლება კომპლექსებში რეგრესული, კონტაქტური, სრული ასიმილაციის შედეგად:

წინა რიგის საშუალო აწეულობის ე სრულად იმსგავსებს დაბალი აწეულობისა და შუა რიგის ა-ს.

აე→ეე: თელი ხალხი **დეეხვია**; ამ ბიჭსა **გეეხვია**; **გეეცევა**, **დეეებეს**, **წეეჩხუბება**, **დეედევნა**, **გეეტენა**, **დეეტია**, **დეენახა**, **დეემალეზა**, **დეეცა** ... (მარტიროსოვი, 1939 : 212).

გადეეხვია ... ; მერე წამოვიდა ი ბიჭი და დევ **დეეჯახა** ; **გეეთხოვებინათ** ის ქალი); როცა ე ბიჭები დიდები **დეეზარდნენ**, გაიგეს ...; **გეეხარდა** და უთხრა... (გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961: 102, 286, 287, 299, 301).

მეყანწიშვილი **დეერქვათ** მერე; **გეერიდნენ** ბატონეფსა; მერე არც აქაურ ბატონს **დეემორჩილა** ; იმას ვერ **გეერეცხა** ; აგურ **წეესვა** და **გეეწითლებინა** ; **დეერქვა** სადოლაშენი (იმნაიშვილი, 1974ბ: 64, 84, 79, 92).

როცა მშობლები **დეეხვიათ**, მამამისმა შვილების აღზრდა და მისი მთელი ცხოვრება მოურავს ჩააბარა; **დეემშვიდობებინა** ერთმანეთს; ეს გადანახული ფული **დეეხარჯა**; ეს ვაჭარი **გეეცნო** და **დეემეგრობრებინა**; იქნები მისგან **გეეგო** ვაჭიშვილის დანადგლიანების მიზეზი; ხელმწიფის შვილს ეს ძალიან **გეეხარდა** და **გადეეხვია** ; იმ ქალაქის ვაჭრებმა იჩივლეს თავიანთ უფროსთან, რომ **გეედევნათ** აქედან ეს ვაჭარი ვაჭი; კრებაზე დიდძალი ხალხი **დეესწრო**; დედამიწაზე პირველათ უნდა **დეედგა** ფეხი; თავზარი **დეეცა**; ძმა **დეენიძლავა** (ღლონტი, 1980: 224, 225, 226, 227).

ცოტა დიდ ადამიანს **დეემგვანეე**; ამ გოგოსაც **გეეღვიძებინა** (არადეთი); **დეეცემი** და მერე ნახან შენა (დირბი); ასფუთიან ქვევრში **ჩეესვა** (წვერი); მწუხარებით გული **ჩეეთუთქა** (დვანი); მტრეფს **ჩეეპარათ** როგორღაცა (არადეთი); თუ **ჩეესო** ეგ ეკლები , ვეღარ ამოიღებ ხელიდანა (ავნევი); ისინიც იმა **ჩეეხიზნენ** (ტახტისძირი) (კობერიძე, 2015: 54).

ზმნისწინისეული ა ელემენტის ცვლილება ე ხმოვანთან კომპლექსში დამახასიათებელია როგორც ქართლურისათვის, ისე სხვა დიალექტებისათვის (რაჭული, იმერული, ლეჩხუმური ...) (ჯორბენაძე, 1998: 611). გამონაკლის წარმოადგენს შიდა ქართლის სოფლებში – წითელუბანსა და შავშვებში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველება, სადაც სრული რეგრესული ასიმილაციით მიღებული ეე განიცდის რეგრესულ დისიმილაციას აე→ეე →იე. მაგ.: დაბერდა და არ **გიემტყუნება** (წითელუბანი); ქალი წავიდა და კაციც **გიეკიდა** (შავშვები) (კობერიძე, 2015: 51). სრული რეგრესიული ასიმილაციით ეე ხმოვანკომპლექსთა საფეხურის გავლით მიიღება გრძელი ე ხმოვანი აჭარულ დიალექტსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაში (ფუტკარაძე, ტაბიძე, ლაბაძე, კეკუა, გეჯუა, ჩელები, & სალია-ბეშიროღლი, 2022: 188).

წინა რიგის საშუალო აწეულობის ე სრულად იმსგავსებს უკანა რიგის საშუალო აწეულობის ლაბიალურ ო ხმოვანს¹. **ოე→ეე**:

მეეშვა, **მეერია**, **მეეშველება** ... (მარტიროსოვი, 1939: 212).

მტერი **მეეშორებინათ**; **მეეწონათ** აქაურობა (იმნაიშვილი, 1974ბ: 66).

¹ ო-ს აწეულობა ქართულში შეიძლება მერყეობდეს საშუალოსა და დაბალს შორის. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი გახდება დიფერენციალური ნიშნის: ლაბიალურობა-არალაბიალურობა - შემოტანა. ო დახასიათდება უკანა რიგის დაბალი თუ საშუალო აწეულობის ლაბიალური ხმოვანი (ფუტკარაძე, & მიქაუტაძე, 2014: 54).

მელაპარაკოს დას ; ძალიან მეწონა (ღლონტი, 1980: 224).

ოე კომპლექსში ასიმილაცია მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისათვის. აღმოსავლურ კილოებში პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის და ასიმილირდება რთული ზმნისწინების (ამო, ჩამო, გამო, წამო) პირველი ხმოვანიც. ეს მოვლენა ქართლურის გავლენის შედეგად ზემო იმერეთის სოფლებშიც დასტურდება (გემემეკიდა, გემევიდა, წემემეწია, ჩემემემტვრია ...) (მოწენიძე, 1973: 229; კობერიძე, 2023: 180).

ე ხმოვანი სრულად იმსგავსებს რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანს: **გემეერჩია** (←გამოერჩია), **გემეება** (←გამოება), **გამეეღვიძა** (←გამოეღვიძა), **წემეეყვანა** (←წამოეყვანა), **გედეერჩინა** (← გადაეერჩინა), **გედეეხვივნენ** (← გადაეხვივნენ) ...

წისქვილის წყალს მეორე ბატონის ეზოში უნდა **გემეევილო**; იქიდან ბატონ **გემეექცენ**; ბატონი ძალიან **გედეევიდა** (იმნაიშვილი, 1974ბ: 64, 80).

ე ხმოვანი სრულად იმსგავსებს პირის ნიშნებით მისგან დაშორებულ საასიმილაციო ან ო ელემენტს: **დეგეხარჯა** (←დაგეხარჯა), **დემემართა** (←დემემართა), **დეგეხერხა** (←დაგეხერხა), **დეგეძახა** (←დამეძახა), **დემესხა** (←დემესხა), **დემეკითხა** (←დამეკითხა), **დეგეხარჯა** (← დაგეხარჯა), **დეგეხმარებიან** (←დაგეხმარებიან), **ჩევეწერე** (← ჩავეწერე), **წემეგველო** (←წამოგველო), **გემეგვეცვალა** (←გამოგვეცვალა), **გემევექეცი** (← გამოვექეცი), **მევეკიდე** (←მოვეკიდე), **გემევემშვიდობე** (←გამოვემშვიდობე) ...

სრული დისტანციური ასიმილაციის შედეგად ერთი მორფემის ფარგლებში იცვლება რთული ზმნისწინის ხმოვანითი ელემენტი: რო **ჩამამიდგება** ხოლმე; არავინ დასვათ მანდა, კლიენტი უნდა მამივიდეს; ე ნახირ რომ **გამარეკავ** ხოლმე, შენ ძროხასა არა ჰხედამ?.

გურულში ზმნისწინისეული ხმოვანი უცვლელად გვენახება, თუ დაშორებულია მასიმილირებულ ხმოვანს მ ან გ თანხმონით (იმნაიშვილი, 1974ა: 174). ამ მხრივ, ფრონის ხეობის მეტყველება უახლოვდება ზემოიმერულს. მაგ.: **დემეწყო** მეცა საქმედ და გამეთავებინა (ტახტისძირი); კიდე კაი თქვენ **დეგენგვანათ** (დირბი) (კობერიძე, 2015: 52)

დაბალი აწეულობის შუა რიგის ა იმსგავსებს უკანა რიგის საშუალო აწეულობის ლაბიალურ ო ხმოვანს. **ოა→აა**:

ჩემთან **გამააცხადეთო** (მარტიროსოვი, 1939: 219).

მააჭამს ფეხსა (გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961: 286).

მეორე ბატონმა წყალი არ **გამაატარებინა** ; რახან წყალი არ **გამამატარებინეო** წყალი უნდა წაგართვაო (იმნაიშვილი, 1974ბ: 84)

ვაჭარი **მაახსენეფს** მისი შვილის სევდიანობის მიზეზს; კრებაზე ინ ქალის სურათი **ჩამაატარეს** (ღლონტი, 1980: 225, 227).

წადი და **ამაატანინე** ... (კობერიძე, 2024: 131).

ა ხმოვანი იმსგავსებს ე ელემენტს როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური სრული ასიმილაციის შედეგად. **ეა→აა**: სულ **შაჭამა** მთელი ცხენი (გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961: 287); ქალმა მოურავს მაშინთვე **შაკაზმინა** ცხენი (ღლონტი, 1980: 227).

შეინიშნება **აი→ეი** კონტაქტური ნაწილობრივი (არასრული) ასიმილაციაც: **მეინტერესება**, მანდა ვნახო და მოუარო (გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961:287); ესენიცა სუ თვითონ **დეიზარდნენ**; **წეისლუკუნა** ერთი გულამოსკვნითა (ნული).

სრული რეგრესიული, კონტაქტური დისიმილაციის შედეგად იცვლება ზმნისწინისეული ხმოვანი.

ეე→აე: ვაჟს ზრდიდა, როგორც სახელმწიფოს მართველს **შაეფერებოდა**; ხალხს **შაეკითხა** (ღლონტი, 1980: 224, 228).

აა→აე: ე ღვინო აუცილებლივ უნა **გადევილოთ**, თორემა ძიენ გაფუჭდება (სადლოლაშენი).

ნაწილობრივი რეგრესული კონტაქტური დისიმილაციის შედეგად იცვლება ხმოვანთკომპლექსები:

უე → **აუ**: ამბავი გაუგია შვიდ წლი(ს) უნახავი შვილისაი, სამი წლის წინათ წასული ძმისაი კი ვერა **შაუტყვია** რა (დლონტი, 1980: 89).

ეა → **ია**: ვერ **შიათყოფ** ჩვენ სამძღვარსა; ნაკვეთს **შიამოწმებდა** მერები; მემრე მორეკავს და **შიაბამს** (იმნაიშვილი, 1974ბ: 68, 70).

ხამი მეხრები **შიაბამდნენ** ხარეფს უღელში (ბრეთი); ამდენი ჩხუბითა ერთი კარგათა **შიახურა** და გაუშვა (ავნევი) (კობერიძე, 2015: 53).

ზმნისწინისეული ე ხმოვანი ცვლილებას განიცდის ნაწილობრივი დისტანციური დისიმილაციის შედეგად: ხის გუთანში **შივაბამდით** შვიდ უღელსა .

ფრონის ხეობის მეტყველებაში მორფემათა ზღვარზე ერთი მორფემის ფარგლებში ზმნისწინისეული ხმოვანი ო პირველი ობიექტური პირის მ-ნიშნის მეზობლობაში იცვლება ა ელემენტით (მეორე და მესამე პირში ო არ იცვლება):

მამყამდა ქალი ლამაზი, **მამყამდა**, **მამიხაროდა** (მარტიროსოვი, 1939: 216).

ჩემი და **მამყავსო** (გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961: 302).

გამამიგზავნე ქალიო; ამაღამ შენი ქალი **მამეციო** (იმნაიშვილი, 1974ბ: 80).

არავინ ჩემი **მამკითხავი** არ არის; წადი, შვილო, **მამიტანე!** მაინც არ უნდა **მამხდარიყო** (არადეთი); ეგ რო არ ავილო, **მამკლამს** (დირბი).

მო ზმნისწინი მა-ს სახეს იღებს ზემოიმერულში, როცა მას სონორი მ მოსდევს. ეს მისთვის იმდენად დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოდგება ზემოიმერულის ქვემოიმერულისაგან გასამიჯნავად (მოწენიძე, 1973: 244).

იმერხეულში დაახლოებით ასეთივე სურათია, მაგრამ შესამჩნევია ისიც, რომ თითქმის ყოველთვის ასეთი ცვლილება ხდება იქ, სადაც საფუძველია მომზადებული ასიმილაციისათვის. იმერხეულში იშვიათად დასტურდება მა მეორე პირის ფორმებთანაც. მაგ.: ჩემი თორუნანი გამაგატანო; შენ იქიღამ მაგიტანო? ! (ფუტკარაძე, 2016: 116).

კახურში მო ზმნისწინის ო ელემენტის ანით შეცვლა ზოგჯერ შეპირობებულია ზმნის პირთა ცვლით. მაგალითად, პირველ სუბიექტურ და მეორე ობიექტურ პირთან ჩვეულებრივ გვევლინება მო- (მე მოვიტანე, მე მოვჭერ; შენ მოგიტანე, შენ მოგიჭრი; მე მამიტანე, მე მამიჭრი; შენ მაიტანე, შენ მაშჭერი, მან მაიტანა, მან მაშჭრა) (მარტიროსოვი & იმნაიშვილი, 1956: 35).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას დასაბამი უნდა მისცემოდა ოა პოზიციაში და მხოლოდ შემდეგ გაეფართოვებინა მოქმედების არე იმ გარემოცვაში, სადაც ამ ფონეტიკური ცვლილების საფუძველი არ არსებობს (თოფურია, 1925: 131).

ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ზემოთ განხილული მაგალითები: **გამოატარებინა** → **გამაატარებინა**, **მოახსენეფს** → **მაახსენებს**, **ჩამოატარებს** → **ჩამაატარებს**, **მოაყენა** → **მააყენე**...

ზმნისწინისეული ო იცვლება ა-დ ი ხმოვნის წინ რეგრესიული დისიმილაციით. **ოი** → **აი**: **მაიძრო** ბიჭმა (გიგინეიშვილი, თოფურია, & ქავთარაძე, 1961 : 247).

ისა კიდენა სუ **მაიტა**, **მაიტას** გაიძახის (სალოლაშენი).

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიცია:

კონტაქტური, რეგრესული ასიმილაციის შედეგად **აე** და **აო** ხმოვანთკომპლექსები გვადლევენ **ეე** და **ოო** კომპლექსებს.

აე → **ეე**: **ა** სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **-ებ** სუფიქსის ე ხმოვანი იმსგავსებს ფუძისეულ ა-ს (როცა ბოლოკიდური ა ხმოვანი არ იკვეცება): **ქოჩორა** → **ქოჩორაები** → **ქოჩორეები**. ჩვენი ქათმები **ქოჩორეები** არიან. **წიწილა** → **წიწილაები** → **წიწილეები**. მაღლი დედოფალა **წიწილეების** მტერია, ანადგურებს; **ბ**) -ებ სუფიქსის ე ხმოვანი იმსგავსებს ნათესაობით ბრუნვაში დართულ ა მავრცობ ხმოვანს: **წლისა**

→წლისაები → წლისეები, გვარისა→გვარისაები→გვარისეები. მაგ გვარისეები ჩვენთან არ ცხოვრობენ (კობერიძე, 2024: 36).

აო →ოო. ზმნურ ფორმებში -ობ სუფიქსის ო ელემენტი ა-ხმოვანთან გვაძევს ოო-ს: კოჭაობდნენ→კოჭოობდნენ, მუშაობდნენ→მუშოობდნენ...

მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებების გამოვლენის სიხშირის პროცენტული მაჩვენებელი გამოქვეყნებული ტექსტების მიხედვით:

არ. მარტიროსოვი „ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში“: აე →ეე - 11%; ოე →ეე - 10%; ოა →აა - 5%; აო →ოო - 3%.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე „ქართული დიალექტოლოგია“: აე →ეე - 5 %; ოე →ეე: 1 %; ოა →აა - 2 %; ეა →აა - 1 %; აი → ეი - 1 %; ოი →აი - 3 %.

გრ. იმნაიშვილი „ქართლური დიალექტი“: აე →ეე - 7 %; ოე →ეე - 5 %; ოა →აა - 2 %; ოი →აი - 2 %; ეა →ია - 2 %; აა →ია - 2 %; აო → ოო - 3%.

აღ. ლლონტი „ფილოლოგიური ჩანაწერები“: აე →ეე - 12%; ოე →ეე - 2%; ოა →აა - 2 %; ეა →ია - 2 %; ეე →აე - 3 %; ეუ →აუ - 1 %.

მ. კობერიძე „ზმნისწინთა ფონეტიკური ცვლილებებისათვის ქართლურში“, „მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში“: აე →ეე - 22 %; ოე →ეე - 5 %; ოა →აა - 2 %; ეა →აა - 1 %; აი →ეი - 1%; ოი →აი - 2 %; ეა →ია - 2 %; აა →ია - 1 %; აო →ოო - 3%.

როგორც გაანალიზებული მასალებიდან ჩანს, ფრონის ხეობის მეტყველებებში მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებების გამოვლენის სიხშირე განსხვავებულია სახელურ და ზმნურ ფორმებში. ზმნის თავკიდურ პოზიციაში გამოვლინდა 11 ხმოვანთკომპლექსის ცვლილება : აე →ეე - 57%; ოე →ეე - 23 %; ოა →აა - 13 %; ეა →აა - 2 %; ეა →ია - 6 %; აი →ეი - 2%; ოი →აი - 7 %; აა →ია - 2 %; აა →აე - 1 %; ეე →აე - 3 %; ეუ →აუ - 1 % . ზმნის ბოლოკიდურ პოზიციაში რეალიზებულია 1 ხმოვანთკომპლექსის ცვლილება: აო →ოო - 9%. სახელების ბოლოკიდურ პოზიციაში იცვლება 1 ხმოვანთკომპლექსი: აე →ეე - 5%.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ფრონის ხეობის მეტყველება ქართლურის ძირითად მონაცემებს გვიჩვენებს, მორფემათა ზღვარზე ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებების ძირითადი ტენდენციები ენის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს შეესაბამება, საერთო ქართულია და მეტ-ნაკლებად სხვა კილოებშიც დასტურდება. ფრონის ხეობის მეტყველებისათვის დამახასიათებელია ხმოვანთკომპლექსთა ერთსაფეხურიანი ცვლილება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტების მსგავსად.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., & ქავთარაძე, ი. (1961). *ქართული დიალექტოლოგია*. I. თბილისი: თსუ.

თოფურია, ვ. (1925). ქართლური. *არილი*, 137.

იმნაიშვილი, გ. (1974)ა. *ქართლური დიალექტი. გამოკვლევა*. I. თბილისი: მეცნიერება.

იმნაიშვილი, გ. (1974)ბ. *ქართლური დიალექტი*. II. თბილისი: მეცნიერება.

კობერიძე, მ. (2015). ზმნისწინთა ფონეტიკური ცვლილებისათვის ქართლურში. *ენა და კულტურა*. #14, 52-55.

კობერიძე, მ. (2023). ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები ზემოიმერულში. *წელიწდეული*. XV, 177-183.

კობერიძე, მ. (2024). *მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში*. თბილისი: მერიდიანი.

- მარტიროსოვი, ა. (1939). ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში. *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*. ტ. IV. ნაკვ. 3, 211- 213.
- მარტიროსოვი, ა., & იმნაიშვილი, გ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები)*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- ფუტკარაძე, ტ., მიქაუტაძე, მ. (2014). *ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა*. თბილისი.
- ფუტკარაძე, ტ., ტაბიძე, მ., ლაბაძე, მ., კეკუა, ს., გეჯუა, კ., ჩელეზი, ფ., & სალია-ბეშიროღლი, მ. (2022). *ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით*. თბილისი: უნივერსალი.
- ფუტკარაძე, შ. (2016). *ჩვენებურების ქართული*. ბათუმი: აჭარა.
- ღლონტი, ა. (1980). *ფილოლოგიის ჩანაწერები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- დიდიგური, შ. (1946). ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. I, 19-31.
- ძოწენიძე, ქ. (1973). *ზემოიმერული კილოკავი*. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ. (1998). *ქართული დიალექტოლოგია*. 2. თბილისი.

REFERENCES

- gigineishvili, i., topuria, v., & kavtaradze, i. (1961). *kartuli dialekt'ologia, I, kartuli enis k'ilota mok'le gankhilva. t'ekst'ebi. leksik'oni. [Georgian dialectology, I, a brief discussion of the kilos of the Georgian language. texts. Dictionary]*. Tbilisi: TSU.
- topuria, v. (1925). *kartluri [kartluri]. arili [Ari]*, 137.
- imnaishvili, g. (1974)a. *kartluri dialekt'i. I. gamok'vleva. [Georgian dialect. I. research]*. Tbilisi: Metsniereba.
- imnaishvili, g. (1974)b. *kartluri dialekt'i, [Georgian dialect]. II*. Tbilisi: Metsniereba.
- k'oberidze, m. (2015). *zmnists'intā ponet'ik'uri tsvlilebisatvis kartlurshi. [Some phonetic changes of preverbs in Kartluri]. ena da k'ult'ura [Language and culture]. #14, 52-55.*
- k'oberidze, m. (2023). *zmnists'intā ponet'ik'uri nairsakheobebi zemoimerulshi. [Phonetic Varianties of Prefixec in Upper Imeretian]. ts'elits'deuli [Tselitsdeuli], XV, 177-183.*
- k'oberidze, m. (2024). *mavrtsobi khmovnebis p'ozitsia da punktisia shidakartlurshi. [Poziton and Function of Extending Vowels (Emphatic vowels) in Shidakartlian]*. Tbilisi: Meridiani.
- mart'irosovi, a. (1939). *angarishi sazapkhuo mivlinebisa pronis kheobashi. [Report of summer business trip to Froni valley]. ak'ademik'os n. maris sakhelobis enis, ist'oriisa da mat'erialuri k'ult'uris inst'it'ut'is moambe [Academician N. Mari Institute of Language, History and Material Culture, Moambe]. IV, 3, 211- 213.*
- mart'irosovi, a., & imnaishvili, g. (1956). *kartuli enis k'akhuri dialekt'i (gamk'vleva da t'ekst'ebi). [Kakhuri dialect of the Georgian language (research and texts)]*. Tbilisi: Georgian Academy of Sciences.
- put'k'aradze, t'., mikaut'adze, m. (2014). *kartuli samts'ignobro enis ponet'ik'a. [Phonetics of the Georgian Literary Language]*. Tbilisi.
- put'k'aradze, t'., t'abidze, m., labadze, m., k'ek'ua, s., gejua, k'., chelebi, p., & salia-beshiroghlu, m. (2022). *kartvelur-turkul samet'qvelo k'odta sherevis k'anonzomierebebi kartvelurenovani muhajirebis shtamomavalta met'qvelebis mikhedvit. [The Kartvelian-Turkish Codemixingularities According to the Speech of Kartvelian – Speaking Muhajir' Descendants]*. Tbilisi: Universali.
- put'k'aradze, sh. (2016). *chvneburebis kartuli. [Chvneburebis' Georgian]*. Batumi: Achara.
- ghlont'i, a. (1980). *pilologis chanats'erebi. [Notes of a Philologist]*. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
- dzidziguri, sh. (1946). *khmovanta k'omp'leksebis ponet'ik'ur p'rotsesta saerto sapudzveli kartul k'iloebisa da zanurshi. [The common basis of phonetic processes of vowel complexes in*

- Georgian Kilo and Zanuri]. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba [Iberian-Caucasian Linguistics]*. I. 19-31.
- dzots'enidze, k. (1973). *zemoimeruli k'ilok'avi [Upper Imeretian Kilokavi]*. Tbilisi.
- jorbenadze, b. (1998). *kartuli dialekt'ologia [Georgian dialectology]*. 2. Tbilisi.